თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

P.S.

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

„ქართულმა ოცნებამ“ 171 091 ამომრჩეველი ერთ წელიწადში დაკარგა

იხილეთ მე-2 გვერდზე

№ 30 (680) 4 - 10 ნოემბერი, 2013 გამოდის 1995 წლიდან ფასი: 70 თეთრი

PSnews.ge ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით მუდმივად ინფორმირებული!

„პაციენტი გადაგვყავდა, როცა მანქანას ცეცხლი გაუჩნდა“

„P.S.ფოტო“ (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

იხილეთ მე-3 გვერდზე

ვინ იქნება იმერეთის გუბერნატორი?

კოპალიანი, ნარჩემაშვილი, მარუაშვილი თუ.... ვინმე სხვა?

იმერეთის გუბერნატორის პოსტზე შესაძლო კანდიდატურათა სიაში უკვე სამი გვარი ფიგურირებს: კოპალიანი, ნარჩემაშვილი და მარუაშვილი. სავარაუდოდ, ეს თემა პრეზიდენტის ინაუგურაციამდე განსაკუთრებით აქტუალური იქნება და გვარების რაოდენობაც მოიმატებს.

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, რეგიონებში პრეზიდენტის ახალი რწმუნებულები უნდა დაინიშნონ. ახალი კონსტიტუციის მიხედვით, მხარის რწმუნებულებს პრეზიდენტის ნაცვლად, პრემიერ-მინისტრი დანიშნავს.

27 ოქტომბერს არჩევნებში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დამარცხების შემდეგ, ახალი პოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით, სააკაშვილის დანიშნული მოქმედი გუბერნატორები პოსტებს თავად ტოვებენ. პარალელურად, ვრცელდება ინფორმაცია მათი სავარაუდო შემცვლელების შესახებ.

თანამდებობა, ჯერჯერობით, არ დაუტოვებია იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებულს, ვახტანგ ბალავაძეს, თუმცა, მის შემცვლელად უკვე განიხილება ორი კანდიდატურა.

გასულ კვირას, psnews.ge-მ სანდო წყაროზე დაყრდნობით გაავრცელა ინფორმაცია აღნიშნულ პოსტზე კობა ნარჩემაშვილის ძმის, ლაშა ნარჩემაშვილის შესაძლო დანიშვნის შესახებ. ამ კანდიდატურის განხილვა დღემდე აქტიურად მიმდინარეობს.

დიმიტრი კოპალიანი

ლაშა ნარჩემაშვილი

ზაზა მარუაშვილი

თავად ნარჩემაშვილი გუბერნატორად დანიშვნას არც უარყოფს და არც ადასტურებს. მისი თქმით, ოფიციალური შემოთავაზება, ჯერჯერობით, არ მიუღია, თუმცა, მისთვის ცნობილია, რომ იგი ამ პოსტზე მოიაზრება.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

„კარგი იქნება, თუ გამოგვაფხიზლებთ ხოლმე“

წყალტუბოს საკრებულოს თავმჯდომარემ ქალაქის ბიუჯეტი არ იცის



იხილეთ მე-5 გვერდზე

ახალი კოდექსით თვითმმართველი ქალაქების რაოდენობა იზრდება

თვითმმართველობას თავისი ფინანსური შემოსავალი ექნება და მის საქმეებში ვერავინ ჩაერევა

იხილეთ მე-5 გვერდზე

სკანვორდი — გვ. 8

განცხადებები — გვ. 7

საპრეზიდენტო არჩევნებში ქუთაისი ყველაზე პასიური ოლქი იყო

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი გახდა. ცესკო-მ 3741 უბანზე ხმები უკვე დათვალა.

წინასწარი შედეგებით, კოალიცია „ქართული ოცნების“ კანდიდატმა არჩევნებში ამომრჩეველთა ხმების 62,12% მოიპოვა. მეორე ადგილზე დავით ბაქრაძე 21,72%-ით გავიდა. პირველ სამეულში მოხვდა ნინო ბურჯანაძეც 10,19%-ით. მეოთხე და მეხუთე ადგილები კი შალვა ნათელაშვილმა (2,88%) და გიორგი თარგამაძემ (1,06%) გადაინაწილეს. 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს ადგილობრივმა არასამთავრობო და საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა დემოკრატიულობის თვალსაზრისით მაღალი შეფასება მისცეს, თუმცა, გასული წლის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით, 2013 წლის არჩევნებზე ამომრჩეველთა დაბალი აქტივობა დაფიქსირდა. 27 ოქტომბერს საკუთარი არჩევანი მოსახლეობის 46,6%-მა დააფიქსირა.

ერთ-ერთი ყველაზე პასიური ოლქი ქუთაისის ოლქი აღმოჩნდა. ქუთაისში არჩევნებზე ამომრჩეველთა ნახევარიც არ მივიდა. №59-ე საოლქო საარჩევნო კომისიის მონაცემებით, 158 967 ამომრჩევლიდან არჩევნებში მონაწილეობა მხოლოდ 62 529 ამომრჩეველმა მიიღო, რაც საერთო რაოდენობის 39,33% -ია.

ქუთაისში, ისევე, როგორც სხვა ოლქებში, ხმის მიცემის პროცესმა მშვიდ ვითარებაში, ექსცესების გარეშე ჩაიარა. თუმცა, მიუხედავად ამისა, დარღვევების შესახებ საოლქოში 9 საჩივარი დაიწერა. მათგან ორი საარჩევნო კოდექსის, დანარჩენი კი პროცედურულ დარღვევებს შეეხებოდა. საჩივრების განხილვის შემდეგ საოლქო კომისიამ ქუთაისის №65-ე უბნის მონაცემები ბათილად ცნო. ქვეყნის მასშტაბით ხმები გაბათილდა კიდევ ორ უბანზე, თუმცა, ამას საერთო შედეგზე გავლენა არ მოუხდენია. გიორგი მარგველაშვილს პრეზიდენტად არჩევა უკვე მიულოცეს ევროპელმა ლიდერებმა. ახალი პრეზიდენტის ინაუგურაცია 17 ნოემბერს შედგება.

მარიამ პატარაია

ქიმერიონი
qimerioni.ge
წიგნების მაღაზია
მისამართი: ქუთაისი, „პოპული“; ტელ.: 790 927 927.

წიგნები შენ გელოდება!
ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „პოპული“, წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“. ტელ.: (790) 927 927.

PSnews.ge

ISSN 1987-7056

პარლამენტის თბილისში გადატანას ქუთაისში აპროტესტებენ

1 ნოემბერს, ქუთაისში პარლამენტის წინ აქცია გაიმართა. საკანონმდებლო ორგანოსთან შეკრებილმა რიგითმა მოქალაქეებმა, მერიის და საკრებულოს წარმომადგენლებმა, ასევე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა პარლამენტის თბილისში გადატანა გააპროტესტეს.

„ნუ წამართმევ პარლამენტს“, „ქუთაისი საპარლამენტო დედაქალაქია“ – მიმართავენ ქუთაისელები დეპუტატებს.

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე საკანონმდებლო ორგანოს კვლავ თბილისში დაბრუნების საკითხი განიხილება.

უმრავლესობა პარლამენტის გადატანის მთავარ არგუმენტად მგზავრობის ხარჯებს და ორ ქალაქს შორის გადაადგილებით გამოწვეულ დისკომფორტს ასახელებს.

აქციაზე იმყოფებოდნენ „ნაციონალური მოძრაობის“ ადგილობრივი ორგანიზაციის, ქუთაისის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები. საკრებულოს ნაციონალი წევრის, გია უკლებას განცხადებით, დიდი ინსტიტუციების ქუთაისში დატოვება ქალაქისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა.

თუმცა, ჩანიშნული საკითხი დეპუტატებმა სხდომაზე არ განიხილეს, რის მიზეზადაც საჭირო რაოდენობა დასახელდა. გავრცელებული ინფორმაციით, პარლამენტის ადგილმდებარეობის საკითხის განხილვა ინაუგურაციის შემდეგ გაგრძელდება.

ნესტან ჩაგელიშვილი

მთავარი რედაქტორი:
ნატო გუბელაძე

ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:
ნესტან ჩაგელიშვილი

დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი:
ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

® — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე

გამომცემელი — შპს „P.S.“ („პოსტსკრიპტუმი“).
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია
№5/ბ-1401

გაზეთ „P.S.“-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)
პ - 658
P - 86

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ª. პრესის სახლი.

● (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
● psnews27@gmail.com
● www.psnews.ge

„ქართულმა ოცნებამ“ 171 091 ამომრჩეველი ერთ წელიწადში დაკარგა

„ქართულმა ოცნებამ“ ერთ წელიწადში 171091 ამომრჩეველი დაკარგა. 2012 წელს ჯამურად ივანიშვილის პოლიტიკურმა „აჯაფსანდალმა“ 1181862 ხმა მიიღო, საპრეზიდენტო არჩევნებზე კი 1010771 ათასმა ადამიანმა შემოხაზა საოცნებო რიცხვი — 41. საინტერესოა, მომავალი წლის მაისში დაგეგმილ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის რამდენად შეძლებს ელექტორატის მოხიბვლას „ქართული ოცნება“.

გიორგი მარგველაშვილი

ამბობენ, რომ ლოკალურ არჩევნებს, რომელსაც უნდა მოჰყვეს მუნიციპალური საკრებულოების დაკომპლექტება, ბევრად უფრო ნერვული ფონი ექნება, რადგან თვით „ოცნების ინგრედიენტებს“ ექნებათ შიდაკოალიციური ღია თუ დახურული დაპირისპირება, ამის შემდეგ კი ოპოზიციურ კანდიდატებთან მოუწევთ სტრატეგიის გამოჩენა „მეოცნებეებს“.

მთავარი მაინც ელექტორატის კეთილი განწყობის მოპოვება და შენარჩუნებაა, რომელზეც არჩეულმა სუბიექტმა პერმანენტულად უნდა იზრუნოს. მოსალოდნელი იყო და გაიმარჯვა კიდეც მარგველაშვილმა. მარგველაშვილის სასარგებლოდ რამდენიმე ფაქტორი მუშაობდა და, მათ შორის, უმნიშვნელოვანესი ივანიშვილის მხარდაჭერა გახლდათ. იმის ილუზია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ყველა დაპირება შეასრულა, ალბათ, მხოლოდ ფანატიკოს „მეოცნებეს“ აქვს, მაგრამ რამდენიმეწლიანი უკანსკნელის ფონზე პოზიტივები ნამდვილად ჩანს, რაც დაეხმარა კიდეც მარგველაშვილს 60-70% ამომრჩევლის მხარდაჭერის მოპოვებაში.

მაინც, რა არის მარგველაშვილის პოზიტივები...

პოზიტივი 1

მარგველაშვილმა განათლებისა და მეცნიერების მინისტრობის დროს მასწავლებლების ხელფასი ერთბაშად ასწია; მიუხედავად იმისა, ჰქონდა თუ არა საკვალიფიკაციო სერტიფიკატი პედაგოგს; სახელმძღვანელოები მიიღეს მოსწავლეებმა (თუნდაც, მკაცრი ხელშეკრულებით) უფასოდ;

17 ფაკულტეტზე სწავლა გახდა სტუდენტისთვის უფასო;

არასერტიფიცირებული პედაგოგებისთვის იცვლება სასერტიფიკაციო ფორმა და შინაარსი.

ამ პოზიტიური მუხლის მიხედვით მარგველაშვილს მხარს უჭერს პედაგოგთა და მშობელთა მნიშვნელოვანი ნაწილი.

პოზიტივი 2

საყოველთაო ჯანდაცვის საკითხი წაადგა მარგველაშვილს.

სამედიცინო სერვისს დანატრებული ადამიანები უკეთესი ჯანდაცვის მოლოდინში ხმას აძლევენ მარგველაშვილს; სამედიცინო პერსონალს აქვს მოლოდინი, რომ სახელფასო საკითხი მოწესრიგდება; თვალნათლივია, რომ მედიკამენტების ფასები იკლებს (განსაკუთრებული აქციების — ფასდაკლებების დღეებისა და ბონუსების დაგროვების საკითხის გათვალისწინებით);

ასევე ჯანდაცვის მინისტრის გვერდში დგომა ერთი დიდი პლუსი იყო წინასაარჩევნო პერიოდში მარგველაშვილისათვის.

პოზიტივი 3

სოციალური საკითხების მოგვარების ტემპი უჩვეულოა.

შრომის კოდექსის ცვლილებების გამო დასაქმებულები თავს დაცულად გრძნობენ; ორსულებისათვის გაიზარდა დეკრეტული შვებულების პერიოდი (ფასიანიც და უფასოც); სოციალური შემწეობა გაორმაგდა.

მოკლედ, სოციალურად დაუცველებმა და დასაქმებულებმა, მიზეზ-შედეგობრიობიდან გამომდინარე, მარგველაშვილს დაუჭირეს მხარი.

პოზიტივი 4

პატიმართა რაოდენობის კლება ამ-ნისტიის საშუალებით.

გათავისუფლებულმა პატიმრებმა, საკარაუდოდ, ოჯახის წევრებთან ერთად 41 შემოხაზა.

ე.წ. პირობითი მსჯავრდებულთა პროგრესიით მატების ტენდენციის მოსპობაც მოსახლეობას დადებით განწყობას იწვევს.

პოზიტივი 5

სოფლის მეურნეობაში დასაქმებულებმა მიიღეს უჩვეულო დოტაცია. 180 მილიონის ღირებულების სასოფლო-სამეურნეო ბარათები თითქმის მილიონმა ვიწრო ფერმერული მეურნეობების პატრონებმა მიიღეს; ნელნელა ხორციელდება (ან გვჯერა, რომ იქნება ასეთი რამე) იაფი სესხების პროგრამა — ხადურის განცხადებით საამისოდ 10 მილიონი გამოიყოფა გაისად;

კახეთში წელს პირველად იყო ყურძნის ჩაბარების უჩვეულო ტემპი მისაღები ფასით; მემწვანილეებისათვის სტაბილური ფასი რუსეთის ბაზრის გახსნის გამო; მეციტრუსეების მოლოდინი, რომ ქართული ციტრუსი წყალში არ გადაიყრება; ჩაის პლანტაციების აღდგენის პერსპექტივები;

მესაქონლეობის პროდუქციის ფასების აწევა.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით გლეხები ხმას აძლევენ 41 ნომერს.

ჩემი აზრით, ამ ხუთი მუხლის გამო ამომრჩეველმა გადაწყვიტა „პლასტელინის“ არჩევა.

როლანდ ხოჯანაშვილი

ქალი, რომელმაც „P.S.“-ის ჟურნალისტს შეურაცხყოფა მიაყენა, სახელმწიფო ფართს უკანონოდ აქირავებს?

ქალაქ ქუთაისში, ფალიაშვილის ქ. №23-ში (ე.წ. „პასაჟას“ ტერიტორია) განთავსებული კომერციული ფართის მესაკუთრე ინდ.მეწარმეები: ეკატერინე ალფაიძე, ავთანდილ შანიძე და ბესიკ სურმავა ერთ-ერთ თანამესაკუთრეს, მზია გიორგაძეს აღნიშნული ფართის ნაწილს უკანონოდ მითვისებასა და უნებართვოდ გაქირავებაში ადანაშაულებენ.
მეწარმეები ქალაქ ქუთაისის მერიას მიმართავენ თხოვნით, რომ დადგინდეს, ვინ არის აღნიშნული ფართის მესაკუთრე და ამავე დროს, როგორც უსაფრთხოების, ასევე — კომერციული თვალსაზრისითაც, აიკრძალოს საერთო სარგებლობის გასასვლელში ყოველგვარი ობიექტის მოწყობა.

ფალიაშვილის №23-ში განთავსებული ფართის ნაწილი 2012 წლის 21 მაისს, ღამით მომხდარი ხანძრის შედეგად დაიწვა. კერძო მესაკუთრეებს ფინანსური და მატერიალური ზარალი მიადგათ. ხანძრის კერას საერთო სარგებლობის გასასვლელში უკანონოდ მოწყობილი ობიექტები წარმოადგენდა, სადაც მოხდა ელექტროსადენების გადატვირთვა, რამაც ხანძარი გამოიწვია. ამ ფაქტს ექსპერტიზაც ადასტურებს.

მიუხედავად აღნიშნულისა, დღესდღეობით ამ სადავო ტერიტორიაზე, საერთო გასასვლელში კვლავ რამდენიმე სავაჭრო ობიექტია განთავსებული, დაწყებული ხორცის მაღაზიით, საკანცელარიო ნივთებითა თუ ფეხსაცმელების შეკეთებით, დამთავრებული ქსეროქსითა და გასაღებების გამრავლებით.

გამოძიების პროცესში დადგინდა, რომ იქ არსებული კერძო ფართის მფლობელები ერთ-ერთი ინდ.მეწარმის, მზია გიორგაძის მიერ მიწოდებული ელექტროენერგიით სარგებლობდნენ. ეს სწორედ ის ქალბატონია, რომელიც წლებია, ყოველგვარი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე დღემდე აქირავებს ფართებს საერთო სარგებლობის გასასვლელში. ჩვენთან საუბარში ხორცის დახლის მეპატრონემაც განაცხადა, რომ ის ამ ფართში 400 დოლარს იხდის ქირას თვეში. დოკუმენტი მოვთხოვე, მაგრამ მას არანაირი ოფიციალური საბუთი არ ჰქონდა. „მაშინ არ ჰქონდა არანაირი დოკუმენტი“ — განაცხადა დახლის მეპატრონემ, **ლერი მარდალეიშვილმა.**

როგორც მერიის ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურის მიერ თანამესაკუთრეებისათვის გაგზავნილი პასუხიდან ჩანს, აღნიშნულ ქუჩაზე არსებულ საერთო სარგებლობის მიწის ნაკვეთზე განთავსებული კომერციული ფართები 13 მეწარმის საკუთრებაშია, მათ შორის, ერთ-ერთ თანამესაკუთრედ ქ. ქუთაისის თვითმმართველი ერთეული ირიცხება, კერძოდ, მის საკუთრებაშია ე.წ. „პასაჟას“ საზოგადოებრივი გასასვლელი ფართით 57,31მ².

ერთ-ერთმა ინდ.მეწარმემ **თამაზ მელაშვილმა** რედაქციასთან საუბრისას განაცხადა: „წლებია, რაც საჩივრებს ვწერთ მერიას, თითქმის ყველა მერს მივმართეთ, ვთხოვეთ, რომ აეღოთ უკანონო ობიექტები „პასაჟას“ ტერიტორიიდან იმიტომ, რომ უკანონოა და კეტავს საერთო გასასვლელს, რომლის ჩაყოლებაზეც ჩვენი მაღაზიებია განთავსებული და ხელს გვიშლის ჩვენი პროდუქტის რეალიზაციაში.

არავინ იცის, რა დოკუმენტის საფუძველზე მიისაკუთრა ეს ტერიტორია მზია გიორგაძემ, მას არ შეუძლია, ან უბრალოდ არ უნდა, რომ დაგვიმტკიცოს სხვა მესაკუთრეებს, არის თუ არა მის სახელზე ნამდვილად დამტკიცებული კონკრეტული ფართი და თუ არ არის, რატომ აქირავებს სხვებთან შეუთანხმებლად.

„P.S.ფოტო“ (ჟანა ჯანელიძე) ©

გვაქვს ეჭვი, რომ რადგან მერიამ არანაირი რეაგირება არ მოახდინა ჩვენს საჩივრებზე, არ არის გამორიცხული, რომ მერიის რომელიმე ჩინოვნიკიც იღებს რაიმე სარგებელს გიორგაძისგან.

მელაშვილმა მერიასთან ბოლოს მიწერილი ერთ-ერთი წერილის პასუხი გაგვაცნო, სადაც წერია, რომ: „საერთო სარგებლობის გასასვლელში განთავსებული სამეწარმეო თუ კომერციული ობიექტები არ ზღუდავენ ქალაქის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ საზოგადოებრივ სივრცეს“.

მერიის წერილში აღნიშნულია, რომ თუ მიზან-შეუწონლად მიიჩნევენ აღნიშნული ობიექტების არსებობას, ეს თანამესაკუთრეებმა შესაბამის კრებაზე უნდა გადაწყვიტონ. რაც შეეხება მერიას, როგორც ქალაქის თვითმმართველი ერთეული და მხარე, აქტიურ მონაწილეობას მიიღებს კრების მუშაობაში და საჭიროებისამებრ, სასამართლოში საქმის განხილვის პროცესში.

„ჩვენ მოვითხოვთ გაათავისუფლონ საერთო გასასვლელი და მოგვცენ ნორმალური მუშაობის საშუალება, მერია სხვაგან რომ ეძებს უკანონო ნაგებობებს, ჯობს წინ გაიხედოს და მოაგვაროს ეს პრობლემა,“ — განაცხადა **თამაზ მელაშვილმა.**

გაგრძელება **მე-3 გვერდზე**

„პაციენტი გადაგვყავდა, როცა მანქანას ცეცხლი გაუჩნდა“

ზამთრის სეზონის დადგომასთან ერთად, გახშირებული ვირუსული დაავადებების (და არა მარტო) გამო, სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება ორმაგდება. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, რაიონებში სასწრაფო სამედიცინო ბრიგადების რაოდენობა საკმარისი არ არის, რის გამოც გამოძახებაზე დაგვიანებით გასვლის ფაქტები ხშირდება. ეს კი მოსახლეობის უკმაყოფილების მიზეზი ხდება.

გაზეთ „P.S.“-ის გასული კვირის ნომერში, სატირულ რუბრიკაში „ქაიხოსრო იმერეტინსკი“ წერდა, რომ წყალტუბოში გამოძახებაზე სამედიცინო ბრიგადის დაგვიანებით მისვლის გამო ქალბატონი სუნთქვის უკმარისობით გარდაიცვალა. საუბარი იყო ასევე წყალტუბოში სასწრაფო სამედიცინო დახმარების სხვა პრობლემებზეც.

გაზეთი „P.S.“ შეეცადა, წყალტუბოში არსებული სიტუაცია ადგილზე შეესწავლა, რისთვისაც წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას გავესაუბრეთ.

თამარ ჭეიშვილი, ქვიტირის მკვიდრი: „თვითონ სქემაა არასწორი, წარმოიდგინეთ, მე ქვიტირში ვცხოვრობ, ქუთაისიდან ერთ კილომეტრში, სასწრაფოს რომ ვიძახებთ, ქუთაისიდან კი არა, წყალტუბოდან უშვებენ ექიმებს, ეს ნორმალურია? ვიდრე წყალტუბოდან ჩამოვა სასწრაფო, ამასობაში ხომ შეიძლება, პაციენტს რამე დაემართოს. მაშინ, როდესაც ქუთაისიდან მოსულ ექიმს შეუძლია მისი გადარჩენა? არ ვიცი, ვინ მოიფიქრა ეს, ან რა ჭკუას ემსახურებოდნენ? ჩვენ კიდევ ასე თუ ისე, ახლოს ვართ, მაგრამ წყალტუბოს ბევრი სოფელი აქვს, ზოგი ლეჩხუმთან არის ახლოს და იქ რა დღეში იქნება მოსახლეობა. გვესმის, რომ ექიმის ბრალი არაა, მაგრამ გაბრაზებულ ადამიანს ხელში ექიმი და ექთანი რჩება და არა — მათი ხელმძღვანელობა.“

ელენე კუჭავა, წყალტუბოს მკვიდრი: „სასწრაფოზე სამდურავი არაფერი გვთქმის, ყოველთვის დროულად მოდიან და ყურადღებასაც გვაქცევენ. ამასწინათ ჩემს ოჯახში სამი ადამიანი იყო მოწამლული და გვერდიდან არ მოგვშორებიან, ვიდრე არ გამოკეთდნენ. დაგვიანების ფაქტს მე ვერ ვიხსენებ.“

ილია შაშიაშვილი, ფარცხანაყანევის მკვიდრი: „ადამიანები ცუდად რომ გახდებიან, უნდა ელოდონ, როდის გათავისუფლდება ექიმი, თუ რაფერაა საქმე? მართლა წინასწარ ხომ არ ჩავეწერებით? კარგი იქნება, თუ ამას გამოასწორებენ. სხვა მხრივ, ექიმებთან სასაყვედურო რა გვაქვს, კი ასრულებენ თავიანთ მოვალეობას და რაც შეუძლიათ თავიანთი მანქანებით, კი მოდიან იმ დროში.“

***

სასწრაფოს დაგვიანებით მისვლის გამო, ადამიანის დაღუპვის ფაქტს ვერ იხსენებენ სასწრაფო სამედიცინო დახმარების წყალტუბოს განყოფილებაში, თუმცა ჩვენთან საუბარში სასწრაფოს გარშემო არსებულ პრობლემებზე საუბრობენ.

ლია ვერულაშვილი, სასწრაფოს ექიმი: „არსებული სამი ბრიგადა ნამდვილად არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ყველა სოფელს ვემსახუროთ, უახლოეს სოფელში მისასვლელად ნახევარი საათი გვჭირდება, ყველაზე შორს მდებარე სოფელში კი — სამსაათნახევარი. ხომ წარმოგიდგენიათ, ეს რას ნიშნავს? მარტო გზაში 7 საათი გვიწევს ყოფნა, ამას პაციენტის მკურნალობისთვის საჭირო დრო დაუმატეთ, გამოდის, რომ მთელი დღე ერთ გამოძახებას სჭირდება. ამ დროს ხომ არ ვართ დაზღვეულნი, რომ ავად აღარავინ გახდება? ამიტომ ვეუბნებით, რომ ბრიგადა გათავისუფლებისთანავე მივა მათთან, ამას კი გამწარებული ადამიანები ვერ იგებენ და ჩვენთან გადმოდიან იერიშზე, გვლანძღავენ, გვაგინებენ, ჩვენ კი ამ აურზაურში გვიწევს მუშაობა, თან, სიცოცხლესთან გვაქვს საქმე. სამწუხაროა, რომ ექიმი არავის ახსოვს და ჩვენს ბედზე არავინ ზრუნავს. შეურაცხყოფას არავის ვაყენებ, მაგრამ მეეზოვესაც და ექიმსაც ერთი ხელფასი უნდა ჰქონდეს? კი, ისინიც მუშაობენ, მაგრამ ცუდად დაგვილი ქუჩების გამო, მათ არავინ დაიჭერს, ექიმის ყოველი დღე კი რისკია.

რაც სასწრაფო „ალდაგი ბი-სი-აი“-ს დაქვემდებარებაში გადავიდა, ჩვენი მდგომარეობა ნამდვილად არ გაუარესებულა, ხელფასი არ შეგვმცირებია, მაგრამ არც მოგვმატებია. ველოდებით, რომ ახალი მინისტრი ამ კუთხით რაიმეს შეცვლის და ექიმს არ მოუწევს იმაზე ფიქრი, ოჯახი როგორ არჩინოს და დღე და ღამე თავის საქმეზე იქნება ორიენტირებული. მიმაჩნია, რომ ქალაქს სასწრაფოს შენახვა უნდა შეეძლოს, მოქალაქეები თანაბარ პირობებში რომ იყვნენ.“

ნინო კიკალიშვილი, სასწრაფოს ექიმი: „რა არის 350 ლარი, რაც ექიმს აქვს ხელფასი? ისიც კი არ ვიცით, ვის ევალება ჩვენთვის ხელფასის გაზრდა, სახელმწიფოს თუ სადაზღვევოს. იმთავითვე შეცდომა იყო, სასწრაფო კერძო მფლობელობაში რომ გადავიდა, რადგან ეს არის სახელმწიფოს პრეროგატივა. მიზერული ხელფასი გვაქვს, 24 საათის განმავლობაში ვმუშაობთ, ზოგჯერ დღეში უამრავი გამოძახება შემოდის, წუთით ვერ ვისვენებთ და დანამატსაც კი ვერ ვიღებთ, მაგალითად, კერძო გამოძახებებზე (როდესაც სასწრაფოს იძახებს უცხო ქვეყნის მოქალაქე) გასვლის დროს თანხა ხომ შემოდის, იქედან მცირედიც კი არ გვეძლევა. მხოლოდ მოქალაქეების ჩხუბი და ლანძღვა გვხვდება.“

***

წყალტუბოს სასწრაფოს საკუთრებაში ჯერ კიდევ საბჭოური ტექნიკაა, რომელიც შეღებვის მიუხედავად, სახარბიელო მდგომარეობაში რომ არ არის, ერთი შეხედვითაც ჩანს. სწორედ მანქანების გაუმართაობა დაგვიანების მიზეზი ხშირად გამხდარა.

„ფუჭდება, აბა, არ ფუჭდება, შვილო? ჩვენი მძღოლები დილით მოვლენ მოწესრიგებულნი, მას მერე კი მანქანის ქვეშ არიან შემძვრალნი და ხან რას უკეთებენ და ხან რას და მათი ხელფასი სულ რაღაც 200 ლარია. გამოძახებიდან მოვალთ თუ არა, ეგრევე მანქანებს არემონტებენ. ამას წინათ ჩვენს სასწრაფო მანქანას გზაში ცეცხლი გაუჩნდა, ამ დროს კი პაციენტი მანქანაში გვყავდა და საავადმყოფოში მიგვყავდა,“ — აღნიშნეს ექიმებმა.

***

დაბალ ხელფასებს აპროტესტებს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ქუთაისის განყოფილების მედპერსონალიც, რომელთა განცხადებითაც, ხელმძღვანელობა ანაზღაურების სიმცირის გაპროტესტების შემთხვევაში, სამსახურიდან გაგდებით ემუქრება.

სასწრაფო სამედიცინო დახმარება ორი წლის წინ მმართველობაში „ჩემი ოჯახის კლინიკას“ გადაეცა. რის გამოც სასწრაფოს ბრიგადებს პაციენტების იმ კლინიკებში გადაყვანა უხდებათ, რომლებიც უფასო მომსახურებას სადაზღვევო კომპანიაში „ალდაგი ბი-სი-აი“ დაზღვეულ მოქალაქეებს უწევენ, რაც პაციენტთა ოჯახის უკმაყოფილებას იწვევს. სადაზღვევო სფეროში არსებული მონოპოლია არაერთხელ გაუპროტესტებია პარტია „თავისუფალი საქართველოს“ იმერეთის ორგანიზაციის თავმჯდომარეს, გოგი წულაიას. როგორც წულაია აღნიშნავდა, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმებს პაციენტი არა ტერიტორიული ორგანოს მიხედვით, არამედ სადაზღვევო პოლისის მიხედვით მიჰყავთ საავადმყოფოებში, რის გამოც პაციენტთა 90% კლინიკურ საავადმყოფოში გადაჰყავთ, რომელიც „ჩემი ოჯახის კლინიკის“ საკუთრებაშია.

წულაიას ბრალდებას იმთავითვე არ იზიარებს კლინიკის ხელმძღვანელობა, მათი ინფორმაციით, პაციენტი თავად ირჩევს საავადმყოფოს და მათთვის პრიორიტეტული ის სამედიცინო დაწესებულებაა, სადაც სრულფასოვანი მომსახურება ხვდებათ.

ნესტან ჩაგელიშვილი

P.S. წყალტუბოში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ირგვლივ არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით, კითხვებით „ჩემი ოჯახის კლინიკას“ მივმართეთ, აღნიშნულთან დაკავშირებით „ჩემი ოჯახის კლინიკის“ პასუხებს მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.

ვინ იქნება იმერეთის გუბერნატორი?

კოპალიანი, ნარჩემაშვილი, მარუაშვილი თუ.... ვინმე სხვა?

პირველი გვერდიდან

„ვიცი რომ ჩემი კანდიდატურის შესახებ არის საუბარი, მაგრამ ოფიციალურად ჯერ არავის არაფერი შემოუთავაზებია. როცა შემომთავაზებენ, აუცილებლად ვიტყვი ამას,“– აცხადებს **ლაშა ნარჩემაშვილი** „პოსტსკრიპტუმთან“ საუბარში.

ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის, კობა ნარჩემაშვილის ძმა ამჟამად წყალტუბოში ცხოვრობს. იგი 2013 წლის 28 იანვრიდან „ქართული ოცნების“ წყალტუბოს ორგანიზაციის თავმჯდომარეა. ნარჩემაშვილის არჩევას წყალტუბოში ხმაურიანი პროცესები უძღოდა წინ. მის ამ პოსტზე დანიშვნას თავად კოალიციის ადგილობრივი წარმომადგენლები აპროტესტებდნენ და აცხადებდნენ, რომ ლაშა ნარჩემაშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ კადრი იყო, რომელიც ახლა უკვე წყალტუბოს საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარესთან, კახა ბაბუნაშვილთან ერთად, „ნაციონალების“ მმართველობის დროს ბიზნესს არეკეტებდა და სხვის ქონებას უკანონოდ ითვისებდა.

თავად კახა ბაბუნაშვილი, რომელიც ასევე „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატი იყო, შემდეგ კი ფრაქცია „ქართულ ოცნებას“ ჩაუდგა სათავეში, იმერეთის გუბერნატორის პოსტზე ნარჩემაშვილის შესაძლო დანიშვნას მიესალმება.

„მე არ ვიცი, ეს ინფორმაცია შეეფერება თუ არა სიმართლეს, მაგრამ თუ ლაშა დაინიშნება ამ თანამდებობაზე, ძალიან კარგი იქნება, რადგან ის კარგი ადამიანია,“ – აცხადებს ბაბუნაშვილი.

ვახტანგ ბალავაძის შემცვლელად მოიაზრება ასევე, ქუთაისის ყოფილი მერი, დიმიტრი კოპალიანი. კოპალიანი, რომელიც მერის პოსტზე 100-დღიანი მოღვაწეობის შემდეგ საქართველოს მომავალი პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილის „მხარდამჭერთა კლუბს“ ხელმძღვანელობდა, იმერეთის გუბერნატორის პოსტზე წინასაარჩევნო პერიოდიდან მოიაზრება.

კოპალიანი მისი შესაძლო გუბერნატორობის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას მედიით მხოლოდ ერთხელ გამოეხმაურა და განაცხადა, რომ „კარგი იქნებოდა იმერეთის გუბერნატორობა“.

საგაზეთო მასალის მომზადების პროცესში გუბერნატორობის შესაძლო კანდიდატურად კიდევ ერთი პიროვნების,ზაზა მარუაშვილის შესახებ გავრცელდა ინფორმაცია. იგი წარმოშობით ქუთაისელია, თუმცა დედაქალაქში მოღვაწეობდა და წინასაარჩევნო პერიოდში „ქართული ოცნებისა“ და გიორგი მარგველაშვილის საარჩევნო შტაბის უფროსი იყო.

სავარაუდოდ, მკითხაობა და საზოგადოების ვნებათაღელვა იმის შესახებ, თუ ვინ იქნება იმერეთის ახალი გუბერნატორი, კიდევ უფრო გააქტიურდება. საბოლოოდ კი, ეს საკითხი მიმდინარე თვის ბოლოს, საქართველოს პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილის ინაუგურაციისა და პარლამენტის მიერ ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ გახდება ცნობილი.

მარიამ პატარაია

ქალი, რომელმაც „P.S.“-ის ჟურნალისტს შეურაცხყოფა მიაყენა, სახელმწიფო ფართს უკანონოდ აქირავებს?

მე-2 გვერდიდან

წერილში აღნიშნულ ბრალდებასთან დაკავშირებით რედაქცია ქალბატონ მზია გიორგაძეს დაუკავშირდა და მისი პასუხების მოსმენა გადაწყვიტა, თუმცა შეხვედრაზე წინასწარ შეთანხმებულ ჟურნალისტს მზია გიორგაძემ და მისმა ქალიშვილმა არაორდინალური დახვედრა მოუწყვეს. ძალიან გაღიზიანდნენ ჟურნალისტის კითხვაზე საკუთრებასთან დაკავშირებით, ლანძღვა-გინება დაიწყეს, კამერა წაართვეს და მასალა, სადაც, ჟურნალისტისადმი შეურაცხმყოფელი მიმართვები იყო ჩაწერილი იძულების წესით წააშლევინეს.

მზია გიორგაძის ასეთი კანონშეუსაბამო მოქმედება იმის ვარაუდის საშუალებას იძლევა, რომ ის მართლაც უკანონოდ, ვიღაცის მფარველობით ახერხებს მერიის კუთვნილი ფართის უკანონო გაქირავებას.

ინდ. მეწარმე მზია გიორგაძის შვილის გიორგი გიორგაძის მტკიცებით, მას კონკრეტული ტერიტორია იჯარით აქვს აღებული, თუმცა, არ ახსოვს რამდენი წლით. მიუხედავად ამისა, გიორგაძეების ოჯახი აღნიშნული ტერიტორიის საკუთრების დამადასტურებელ რაიმე დოკუმენტს არავის აჩვენებს, მომჩივან მხარეს კი მათი ზეპირი სიტყვის არ სჯერა.

ჩვენ შევეცადეთ, მერიის ზედამხედველობის სამსახურში გაგვეგო, არის თუ არა აღნიშნული საერთო გასასვლელი იჯარით დატვირთული, თუმცა, როგორც ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოვალეობის დროებითმა შემსრულებელმა **დავით გოგრიჭიანმა** „P.S.“-სთან საუბრისას განაცხადა: „მერიას მის საკუთრებაში არსებული ტერიტორია არ აქვს იჯარით დატვირთული, ხოლო, რაც შეეხება საერთო სარგებლობის გასასვლელს, სახელმწიფოსაც კი არ აქვს ამ ტერიტორიის იჯარით გასხვისების უფლება, ვინაიდან ეს ადგილი საერთოა, გასასვლელი მთლიანად თავისუფალი უნდა იყოს და არანაირ დაბრკოლებას არ უნდა წარმოადგენდეს იქ მომუშავე მესაკუთრეებისათვის.“

არის თუ არა ფალიაშვილის №23-ში არსებული საერთო სარგებლობის გასასვლელი გიორგაძეების საკუთრებაში, იჯარით გაცემის საბუთს შეუძლია დაამტკიცოს. ამიტომ, რედაქცია კიდევ ერთხელ დაუკავშირდა გიორგაძეებს და შესთავაზა, წარედგინათ რაიმე დოკუმენტი, თუმცა, მათგან კვლავაც უარყოფითი პასუხი მივიღეთ.

ოფიციალური ინფორმაციის მოსაპოვებლად სახელმწიფო ქონების მართვის სამსახურს მივმართეთ, რომლის არქივიდან მოწოდებულ ინფორმაციას გაზეთი „P.S.“ უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

ჟანა ჯანელიძე

თვითმმართველობის დროა!

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

USAID
ამერიკელი ხალხისგან

დემოკრატიული მმართველობა საქართველოში

შენ ხარ საქართველოს მოქალაქე და გაქვს კანონით გარანტირებული უფლება აირჩიო ხელისუფლება, რომელიც ახლოს არის შენთან, შეგიძლია ყოველდღიურად მოსთხოვო დანაპირების შესრულება და შენთვის მნიშვნელოვანი საკითხები შენი მონაწილეობით მოაწესრიგო და გადაწყვიტო.

ეს უფლება აქამდე მხოლოდ ქაღალდზე იყო დეკლარირებული და მისი განხორციელების საშუალება ადგილობრივ მოსახლეობას არ ეძლეოდა.

შემუშავდა ახალი კანონი თვითმმართველობის შესახებ და იწყება თვითმმართველობის რეალური რეფორმა. ამის საფუძველზე შენ, საქართველოს მოქალაქეს, ამ უფლების განხორციელების საშუალება მოგეცემა.

კონკრეტულად, რატომ უნდა იყო დაინტერესებული ამ კანონის მიღებით? უფლებები, რომელსაც შენ - საქართველოს მოქალაქე თვითმმართველობის რეფორმის განხორციელების შემთხვევაში მიიღებ:



• არჩევითობა

ვერავინ დაგინიშნავს გუბერნატორს, მერს, გამგებელსა და რწმუნებულს, შენ თავად აირჩევ! შენს საცხოვრებელ გარემოზე იზრუნებს ის, ვისაც პირადად იცნობ და ენდობი.

• თანამონაწილეობის საშუალება

შენ ხარ მთავარი ფიგურა, ვინც ადგილობრივ პრობლემებს განსაზღვრავს და პრიორიტეტებს გეგმავს. თავად წყვეტ, როგორ და რაში დაიხარჯოს ფული: მოგვარდეს წყლით მომარაგების პრობლემა, თუ მოეწყოს ავტობუსის მოსაცდელი.



• ფინანსური დამოუკიდებლობა

თვითმმართველობა აღარ იქნება მთლიანად დამოკიდებული ცენტრალურ ბიუჯეტსა და ცენტრის გადაწყვეტილებებზე. ბიუჯეტში ერთ სულ მოსახლეზე დასახარჯი თანხა გაიზრდება. შენ და შენ გარშემო მყოფ ადამიანებს გექნებათ არა მარტო უფლება, გაიუმჯობესოთ თქვენი საცხოვრებელი პირობები, არამედ შესაბამისი ფინანსური რესურსიც.

• საზოგადოებრივი მომსახურების ხელმისაწვდომობა

მუნიციპალური მომსახურება უახლოვდება თითოეულ მოსახლეს. მაგალითად, შენთვის საჭირო ცნობის ასაღებად არ მოგიწევს ათეულობით კილომეტრის გავლა. მისი აღება ადგილზე იქნება შესაძლებელი.





• ადგილობრივი ხელისუფლების ანგარიშვალდებულება

მმართველი ანგარიშვალდებულია მხოლოდ შენი და კანონის წინაშე. შენი ხმა და მოთხოვნები არა მარტო უნდა მოისმინონ, არამედ უნდა განახორციელონ კიდეც. არ დაგჭირდება ყოველ ნაბიჯზე საქართველოს ხელისუფლებასთან დაკავშირება ან სხვადასხვა მწვავე ფორმით პროტესტის გამოხატვა.

• მომსახურების უკეთესი ხარისხი

შენს კუთხეს, ქალაქს, სოფელს, თუ უბანს მართავს ის, ვისთვისაც ისევე ახლოა ადგილზე არსებული პრობლემები, როგორც შენთვის.

შემოგვიერთდი:
www.tvitmartvelobisdroa.ge
www.droa.ge
www.Facebook.com/pages/თვითმმართველობის-დროა/

თუ გინდა, რომ ეს ყველაფერი რეალობად იქცეს, მიიღე მონაწილეობა რეფორმის განხორციელების პროცესში, გაგვიზიარე შენი აზრი და ჩაერთე დისკუსიაში Facebook-ზე (თვითმმართველობის დროა) და ვებგვერდზე www.tvitmartvelobisdroa.ge, www.droa.ge

ახალი კოდექსით თვითმმართველი ქალაქების რაოდენობა იზრდება

თვითმმართველობას თავისი ფინანსური შემოსავალი ექნება და მის საქმეებში ვერავინ ჩაერევა

საქართველოს მთავრობამ თვითმმართველობის კოდექსი დაამტკიცა. როგორც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში აცხადებენ, კოდექსი სრულად ცვლის თვითმმართველობათა დღეს არსებულ მანკიერ სისტემას და გვთავაზობს ევროპული ტიპის თვითმმართველობის სისტემას.

ხელისუფლება ფიქრობს, რომ რეფორმის შედეგად მოხდება ქვეყნის მასშტაბით ქალაქებისა და სოფლების სწორი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და ადგილობრივი ხელისუფლება უფრო მეტად დაუახლოვდება საკუთარ მოსახლეობას.

კოდექსის მიხედვით, მთავარი სიახლეა ის, რომ თვითმმართველი ქალაქების რაოდენობა გაიზრდება და დღეს არსებული ხუთი თვითმმართველი ქალაქის ნაცვლად (თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ფოთი, ბათუმი), ეს სტატუსი მიენიჭება იმ ქალაქებსაც, სადაც მოსახლეობის რაოდენობა 15 ათასზე მეტია (მაგალითად: ზუგდიდი, გორი, ოზურგეთი და ა.შ.). თვითმმართველი ქალაქების მიმდებარე სოფლებისგან ჩამოყალიბდება თემები, რომლის ბაზაზეც ფორმირდება მუნიციპალიტეტები. თვითმმართველი ერთეულების (ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების) მმართველი რგოლები იქნება არჩევითი. ასევე განისაზღვრა ფისკალური დეცენტრალიზაციის გრძელვადიანი ხედვა, რაც თვითმმართველობებს მეტ ფინანსურ რესურსს გაუჩენს.

კოდექსით განსაზღვრულია სოფლებში საზოგადოებრივი საბჭოების შექმნა, რაც სოფლის მაცხოვრებელთა რეალური საჭიროებების გამოვლენასა და მათ გადაწყვეტას შეუწყობს ხელს. ასევე, გუბერნატორის ინსტიტუტის პარალელურად, შეიქმნება კოლეგიალური ორგანო, რომელშიც წარმოდგენილი იქნებიან საკრებულოს წევრები. ეს ორგანო ჩართული იქნება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

თვითმმართველობის კოდექსის შემუშავებაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი საზოგადოებრივი თვითმმართველობის საბჭო, არასამთავრობო ორგანიზაციები და საექსპერტო წრეები. როგორც „პირWელის“ პრესკლუბში მთავრობის კანცელარიის რეგიონებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა ირაკლი მელაშვილმა განაცხადა, რეფორმა გრძელვადიანია და რამდენიმე წელს მოიცავს, თუმცა, მისი პირველი ეტაპის დასრულება 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებამდე იგეგმება.

„ჩვენ გვინდა, მივიღოთ ქვეყანა, სადაც ხელისუფალი არა მხოლოდ მართავს ქვეყანას, არამედ საზოგადოება აკონტროლებს ხელისუფლებას და საზოგადოება აქტიურად არის ჩართული მართვის პროცესში. თუ მოქალაქეს არ ეკითხებიან, მის სოფელში, მის ქალაქში რა უნდა გაკეთდეს, ფასადი უნდა შეიღებოს, წყალი შეკეთდეს თუ სხვა რამ, ასეთი მოქალაქე არასდროს გააკონტროლებს ცენტრალურ მთავრობას. თვითმმართველობის რეფორმა გვჭირდება იმისთვის, რომ მან შექმნას მოქალაქის ჩართულობა სახელმწიფოს მართვაში. გარწმუნებთ, სხვა ინსტრუმენტი არ არსებობს,“ — განაცხადა **ირაკლი მელაშვილმა.** მისივე თქმით, დღეს მოქმედი კანონმდებლობით ისეთი საკითხებიც კი, როგორიცაა წყალმომარაგების შეწყვეტა რომელიღაც სოფელში, ცენტრალური ხელისუფლების გადასაწყვეტია.

„ერთ-ერთ მუნიციპალიტეტში პატარა ზვავი ჩამოწვა და გზა ჩაიკეტა. დასჭირდათ ტრაქტორი, რომელიც მუნიციპალიტეტს არ აღმოაჩნდა. გამგებელმა და საკრებულომ მომართა ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ინფრასტრუქტურის სამინისტრომ დაავალა შესაბამის დეპარტამენტს, მან მოამზადა გადაწყვეტილება, შემდეგ ეს წავიდა შეთანხმებაზე ფინანსთა სამინისტროში, სამინისტრომ საკითხი გამოიტანა მთავრობის სხდომაზე, სხდომაზე მივიღეთ გადაწყვეტილება და მერე ეს ყველაფერი წავიდა უკან — ფინანსთა სამინისტრომ გამოყო ფული, ფული წავიდა მუნიციპალიტეტში და ა.შ.“ — განაცხადა მელაშვილმა და დასძინა, რომ რეფორმა ფინანსურ დეცენტრალიზაციასაც ითვალისწინებს. ფინანსური დეცენტრალიზაციის შედეგად კი თვითმმართველობას თავისი ფინანსური შემოსავალი ექნება და მის საქმეებში ვერავინ ჩაერევა. მისივე თქმით, აქამდე თვითმმართველობაზე ზედამხედველობა გუბერნატორებს ეკისრებოდათ, თუმცა, ახალი კანონით თვითმმართველობის გადაწყვეტილების შეცვლა, სასამართლოს გარდა, არავის ექნება. მელაშვილი აცხადებს, რომ თვითმმართველობას დავალებას „ტელეფონით“ ვერავინ მისცემს.

„ყველა თვითმმართველობაში უნდა გაკეთდეს ერთიანი ადმინისტრაციული სივრცე, სადაც იქნება გამგეობა, საკრებულო, სოფლის სახლი, ბანკი და დაზღვევა,“ — განაცხადა **მელაშვილმა.** რეფორმის პირველი ეტაპი, დაახლოებით, 40-50 მილიონი ლარი დაჯდება, რაც 50 კარგად მოწყობილ თვითმმართველობას ნიშნავს.

როდის უნდა განხორციელდეს თვითმმართველობის რეფორმა?

როგორც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ განაცხადა თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების შესახებ საარჩევნო ჯგუფს კონკრეტული ცვლილებები ჯერ არ აქვს მომზადებული.

„ჩვენი კანონმდებლობის მიხედვით ყველა არჩევნები ოქტომბერში უნდა ჩატარდეს, თუმცა, თვითმმართველობებს მუშაობის ვადა მაისში გადის. ამიტომ ჯერ არჩევნების ჩატარების ზუსტი თარიღი არ არის გადაწყვეტილი. ალბათ, პარლამენტი ამ თემაზე საკანონმდებლო ცვლილებას ან დადგენილებას მოამზადებს,“ — განაცხადა **დავით ნარმანიამ.**

თბილისის საკრებულოს უმცირესობის წევრი მამუკა ახვლედიანი კი მიიჩნევს, რომ არჩევნებამდე 5-6 თვით ადრე ძირეული ცვლილებების შეტანა თვითმმართველობის რეფორმაში დაუშვებელია. „თუ რაიმე ცვლილების შეტანა გვინდა, ეს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ უნდა მოხდეს,“ — განაცხადა **ახვლედიანმა.**

თბილისის მერის გიგი უგულავას შეფასებით კი, მთავრობამ თვითმმართველობაში ახალი რეფორმა წამოიწყო, რომლის შესახებაც არავინ არაფერი იცის.

„თვითმმართველობის არჩევნებზე საუბარი, ვფიქრობ, ნაადრევია, რადგან მთავრობამ წამოიწყო რეფორმა, რომლის შესახებაც არავინ არ იცის, არც საკრებულოს უმრავლესობამ და არცერთმა თვითმმართველობამ. მხოლოდ რაღაც დოკუმენტი ვიცით და ის დოკუმენტი გახდება თუ არა რეალობა ან როგორი იქნება თვითმმართველობა, რა საზღვრებში ავირჩევთ, ეს ყველაფერი არ ვიცით. შესაბამისად, საუბარი არჩევნებზე სწორი მაშინ იქნება, როდესაც თვითმმართველობის საარჩევნო სისტემა და არჩევნების თარიღი გვეცოდინება. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები მაისში იქნება. ყველა საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით არჩევნებამდე მინიმუმ ერთი წლით ადრე ყველა საკანონმდებლო ნორმა და რეგულაცია უნდა იყოს გამზადებული. მაისამდე დარჩენილია 6-7 თვე და ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით რა იქნება. ჯერ მთავრობა უნდა ჩამოყალიბდეს და თუ პატივს დაგვდებენ და გვეტყვიან არჩევნები როდისაა და რა სისტემით ჩატარდება, შემდეგ ბუნებრივია, ჩვენ, როგორც მთავარი ოპოზიციური პარტია, ადგილობრივ არჩევნებში მივიღებთ მონაწილეობას,“ — განაცხადა **გიგი უგულავამ.**

ცოტნე პაატაშვილი

„კარგი იქნება, თუ გამოგვაფხიზლებთ ხოლმე“

წყალტუბოს საკრებულოს თავმჯდომარემ ქალაქის ბიუჯეტი არ იცის

„როგორ გითხრათ, ზეპირად არ მახსოვს, მაგრამ ბევრი არ იქნება“ – ამ პასუხით დაიწყო ინტერვიუ ქალაქის 2013 წლის ბიუჯეტის პარამეტრებზე წყალტუბოს საკრებულოს ახლადარჩეულ თავმჯდომარესთან.



„P.S. ფოტო“ ©

ნოდარ კაპანაძემ, რომელიც თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებას 5 თვის წინ შეუდგა, არც ერთი ციფრი, რაც ქალაქის ბიუჯეტს უკავშირდება, არ იცის. უფრო მეტიც, კაპანაძე არც ცდილობს, რომ შეკითხვებს, რომლებზეც პასუხი არ აქვს, თავი აარიდოს, რადგან მიაჩნია, რომ არ არის ვალდებული, საბიუჯეტო მონაცემები ზეპირად იცოდეს.

„მე არ ვიცი დეტალები, მაგრამ თქვენ თუ გინდათ, საფინანსო კომისიას დავუძახებ და ისინი უფრო გეტყვიან,“ –განაცხადა **კაპანაძემ** და ინფორმაციის მოსასმენად საკუთარ კაბინეტში საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის წევრი დაიბარა. მალხაზ ღვინიანიძემ, რომელიც კომისიაში მოწვეული სპეციალისტია, საბიუჯეტო პარამეტრებზე დეტალური ინფორმაციის არქონის გამო, ბოდიში მოიხადა და განაცხადა, რომ მსგავსი ინფორმაციის გაცემა წინასწარ მომზადებას საჭიროებს.

„მეც მაგ სფეროში ვმუშაობ და ცოტა რამ ვიცი, მაგრამ წინასწარ თუ შემატყობინებთ, უფრო მომზადებული დაგხვდებით. წინა დღეს, უბრალოდ, ჩახედვა და დალაგება უნდა ციფრებს,“ — ამბობს მალხაზ ღვინიანიძე და ფურცელზე წინასწარ ამოწერილ ორ ციფრს გვისახელებს.

ღვინიანიძის თქმით, წყალტუბოს მიმდინარე წლის ბიუჯეტი 15 მილიონ 722 ათასი ლარია. აქედან 2 მილიონ 400 ათასი ადგილობრივი შემოსავლებია. დანარჩენი თანხა კი ქალაქმა ტრანსფერის სახით მიიღო.

მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში გამოყოფილი თანხა ქალაქში ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას ხმარდება, თუმცა, ადგილობრივთა ინფორმაციით, უკვე მეორე წელია, სარეაბილიტაციო სამუშაოები ჭიანურდება. მათ შორის, ცივი ტბის აღდგენა, რომელიც წყალტუბოში ერთ-ერთი ხმაურიანი თემა იყო, ამ დრომდე არ დასრულებულა. აზერბაიჯანულ კომპანიას ტბის რეაბილიტაციაზე დასაქმებული მუშებისთვის ხელფასი დღემდე არ გადაუხდია, რის გამოც მას სამუშაოების განხორციელების უფლება ჩამოერთვა. მის მიერ დაწყებული სამუშაოები კი ერთ პირთან მოლაპარაკების გზით შერჩეულმა ახალმა კომპანიამ განაგრძო.

პრობლემებია ასევე წყალტუბოს ე.წ. წრიული გზის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით. ქალაქის ცენტრალურ ნაწილში გზის მოასფალტება ამ დრომდე არ დასრულებულა.

როგორც მუნიციპალიტეტში ამბობენ, ახლა მთავარი აქცენტი ქალაქში დაწყებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების დასრულებაზეა გადატანილი, თუმცა, საკრებულოს თავმჯდომარე ვერც ქალაქში მიმდინარე რეაბილიტაციის დეტალებში ერკვევა. კაპანაძემ ადმინისტრაციულ შენობებში დაწყებული რეაბილიტაციისა და ქალაქის ცენტრალურ ნაწილში გზის საფარის აღდგენითი სამუშაოების არც მასშტაბურობა, არც დაფინანსების წყარო და არც ტრანსფერის რაოდენობა არ იცის. „ცალ-ცალკე პროექტებია და ერთიანად არ გვაქვს დაჯამებული. მე მგონი, რამდენიმე მილიონია,“ — ამბობს **ღვინიანიძე.**

რაც შეეხება ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებულ პროექტებს, მუნიციპალიტეტში ამბობენ, რომ მიზერული შემოსავლების გამო ინდივიდუალური პროექტების განხორციელება ვერ ხერხდება. მით უმეტეს იმ ფონზე, როცა მუნიციპალიტეტში დასაქმებულთა სახელფასო ფონდი 2 მილიონ 100 ათას ლარს აღწევს, ბიუჯეტის საერთო შემოსავლები კი მხლოდ 2 მილიონ 400 ათასი ლარია.

„კარგი იქნება, თუ ხშირად ჩამოხვალთ და გამოგვაფხიზლებთ ხოლმე“ –ამ ფრაზით დაასრულა ინტერვიუ ნოდარ კაპანაძემ.

ნოდარ კაპანაძის წყალტუბოს საკრებულოს თავმჯდომარედ არჩევას წინ ხმაურიანი პროცესები უძღოდა. საკრებულოს დეპუტატთა ნაწილისთვის მისი კანდიდატურა მიუღებელი იყო.

საბოლოოდ, კაპანაძე, რომელმაც პოსტზე მამუკა საღარეიშვილი შეცვალა, თავმჯდომარედ რამდენიმედღიანი ვნებათაღელვის შემდეგ, 14 ხმით აირჩიეს.

მარიამ პატარაია

დაიცავი შენი საკუთრება ჩვენი დახმარებით!

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად,
საკუთრების უფლება დაცული და ხელშეუვალია.
საკუთრება შეიძლება პირს ჩამოერთვას
მხოლოდ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების შემთხვევაში
(მაგალითად, მნიშვნელოვანი გზისა და რკინიგზის გაყვანა,
წყალმომარაგების მნიშვნელოვანი ხაზების გაყვანა,
საზოგადოებრივი საჭიროებისთვის აუცილებელი ობიექტის მშენებლობა და ა.შ.).

გახსოვდეთ!

საკუთრების ჩამორთმევა, ნებისმიერ შემთხვევაში,
დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით.
არც ერთ სხვა სახელმწიფო ორგანოსა და თანამდებობის პირს დამოუკიდებლად ამის უფლება არ აქვს. ასევე,
ძალიან მნიშვნელოვანია იცოდეთ,
რომ რა სახის საზოგადოებრივი აუცილებლობაც არ უნდა არსებობდეს, მესაკუთრეს უნდა მიეცეს ანაზღაურება
ჩამორთმეული ქონების საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით.

ყურადღება!

თუ რომელიმე სახელმწიფო ორგანო ან თანამდებობის პირი უკანონოდ გიზღუდავთ საკუთრების უფლებას,
დაუსაბუთებლად გეუბნებიან უარს საკუთრების უფლების აღიარებაზე ან საჯარო რეესტრში რეგისტრაციაზე,
ან უძრავ ქონებასთან დაკავშირებით გაქვთ რაიმე სამართლებრივი პრობლემა,
თუ მიგაჩნიათ, რომ რომელიმე პროექტის განხორციელების გამო, ზიანი ადგება
ან შესაძლოა ზიანი მიადგეს თქვენს საცხოვრებელ გარემოს,
გეზღუდებათ ან შესაძლოა შეგეზღუდოთ ბუნებრივ რესურსებზე ხელმისაწვდომობა,
ან გჭირდებათ დახმარება პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიებაში, გთხოვთ,
დაგვიკავშირდეთ ქვემოთ მითითებულ მისამართებზე:

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

თბილისის ოფისი:
ჯ.კახიძის ქ. №15;
საფოსტო ინდექსი 0102;
ტელ: + (995 32) 2936101/2952353
ფაქსი: + (995 32) 2923211
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge
ვებ-გვერდი: www.gyla.ge

ქუთაისის ფილიალი:
ნიუპორტის ქ. №5;
საფოსტო ინდექსი 4600;
ტელ: + (995 431) 241192/246523
ფაქსი: + (995 431) 214585
ელ-ფოსტა: kutaisi@gyla.ge

აქარის ფილიალი:
ბათუმი, გორგასლის ქ. №89;
საფოსტო ინდექსი 6000;
ტელ: + (995 422) 276668,
ფაქსი: + (995 422) 222950
ელ-ფოსტა: batumi@gyla.ge

რუსთავის ოფისი:
კოსტავას ქ.№ 15ა/5;
საფოსტო ინდექსი 3700;
ტელ: +(995 341) 255337
ფაქსი+(995 341) 240566
ელ-ფოსტა: rustavi@gyla.ge

თელავის ოფისი:
ბარნოვის ქ.№10;
საფოსტო ინდექსი 2200;
ტელ: +(995 350)271371;
+(995 350)230745
ფაქსი: + (995 350)271371
ელ-ფოსტა: telavi@gyla.ge

გორის ოფისი:
სტალინის ქ. №19/1;
საფოსტო ინდექსი 1400;
ტელ: +(995 370) 272646
ფაქსი: +(995 370) 279842
ელ-ფოსტა: gori@gyla.ge

ოზურგეთის ოფისი:
გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№ 25/10;
საფოსტო ინდექსი: 3500;
ტელ: +(995 496)273138;
ფაქსი +(995 496) 273138;
ელ-ფოსტა: ozurgeti@gyla.ge

დუშეთის ოფისი:
რუსთაველის ქ.№29;
საფოსტო ინდექსი 1810;
ტელეფონი: (+ 995 346) 221554;
ფაქსი: (+ 995 346) 221553;
ელ-ფოსტა: dusheti@gyla.ge

საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო

თბილისის ოფისი:
ცხელი ხაზი: + (995 32) 260 15 08
ელ-ფოსტა: alac@transparency.ge
ვებ-გვერდი: http://www.transparency.ge; http://www.propertyrights.ge

ბათუმის წარმომადგენლობა:
ცხელი ხაზი: + (995 422) 29 44 88
ელ-ფოსტა: alac@transparency.ge

ქუთაისის წარმომადგენლობა:
ცხელი ხაზი: + (995 431) 29 26 54
ელ-ფოსტა: alac@transparency.ge

ზუგდიდის წარმომადგენლობა:
ცხელი ხაზი: + (995 415) 22 37 20
ელ-ფოსტა: alac@transparency.ge

ასოციაცია მწვანე ალტერნატივა

თბილისის ოფისი:
თბილისი, ფალიაშვილის ქ. 27/29, მე-2 სართული
ტელ: + (995 32) 29 27 73
ფაქსი: + (995 32) 22 38 74
ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org

Transparency International Georgia
საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო

GRMA

პროექტი ხორციელდება ფონდის "ღია საზოგადოება – საქართველო" ფინანსური მხარდაჭერით

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

საკუთრების დაცვის საკითხებზე ადგილობრივ მოქალაქეთა ინფორმირება და სამართლებრივი დახმარება
მიმდინარეობს კოალიციური პროექტის "საკუთრების უფლების დაცვის ხელშეწყობა საქართველოში" ფარგლებში.
პროექტს ახორციელებენ: "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია",
"საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო", ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა,"
"საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაცია".

მშვიდობით არა, ნახვამდის!

მამუკა ხარჩილავას გახსენება

ჩემო თბილო, უაღრესად კეთილო მამუკა, ჩემო ბებე, ყოველი დღე შენს მოლოდინში თენდება და ღამდება. ის დიდი სიხარული, რომელიც ჩვენი დაოჯახებით მივანიჭეთ ოჯახის წევრებს და ახლობლებს, მოულოდნელად, წელიწადნახევარში სადღაც გაქრა.

როგორი უძლური ვიყავი იმ დაწყევლილ დღეს, როცა ამ მკაცრი ბედისწერის წინაშე აღმოვჩნდი. შენი გარდაცვალება წარმოუდგენელი იყო. მანამდე დღეები ბედნიერად, მომავლის იმედით მიიწევდა წინ, ჩვენი შვილის მოლოდინში. გახარებულს და უბედნიერეს გხედავდი, მაგრამ ეს იმედიც წაგვართვა ბედმა. შენი დაკარგვის შემდეგ, 4 თვეში უსაყვარლესი დედა დავკარგე. დედაჩემს ძალიან უყვარდი და მან ჩვენი დიდი დარდი და ჯავრი გაიყოლა. დავრჩი... და დამტოვეთ მარტოსული.

ვეღარ ვუძლებ ამდენ ტკივილს და სიცარიელეს. ყველაფერ ამას კი უშენობა (უთქვენობა) ჰქვია. ვცდილობ, გავიღიმო, რაც ნიშნავს ჩემთვის იმას, რომ ზოგჯერ მე მინდა, ვიყო ძლიერი... დრო კი მიდის შენზე ფიქრში, შენთან ერთად გატარებული დღეების მოგონებებში. და ეს ყველაფერი კიდევ უფრო ამძაფრებს ტკივილს. მხოლოდ შენ ერთადერთს შეგიძლია, გაიგო და ჩაიხედო ამ დათუთქულ გულში.

დამტოვე, მაგრამ ვგრძნობ, აჩრდილივით დამყვები და მმფარველობ. დატოვე შენი გამწარებული და განახევრებული დედა ნარგიზა, რომელიც დღემდე ტაძარში და სასაფლაოზე მუხლმოდრეკილი ავედრებს შენს სულს ღთვისმშობელ მარიამს. დატოვე შენი დები — მაია და ლარისა, რომელთათვისაც უსაყვარლესი ძმა იყავი. ისინი საქართველოდან შორს თვალცრემლიანი ნატრობენ შენი საფლავის მოფერებას.

ჩემო მამუკა, აფხაზეთის ომში იბრძოდი საქართველოს ბედნიერი მომავლისათვის და ჩემი „გმირი“ გიწოდე. დაგჭრეს და გადარჩი, ამის შემდეგ ცხოვრებაში ბევრი სირთულე გამოიარე, მაგრამ ყოველთვის დაცემული ფეხზე დადექი. როცა ერთად ყოფნის ბედნიერების კულმინაციას ვაღწევდით, მაშინ მოწყდა ცას და დაიმსხვრა ჩვენი ვარსკვლავი.

დრო მიქრის უშენოდ. შენი დისშვილი, პატარა ბარბარე ისევ დაგეძებს, ნინიკო, ნათია და იპო კი საყვარელ „ბუძას“ ტკბილად და სევდიანად იგონებენ. მაგრამ დასანანია, რომ შენნაირ ვაჟკაცს, იშვიათი ჯიშის და ჯილაგის ადამიანს, მამუკა ხარჩილავას, შთამომავალი არ დაგრჩა.

შენმა მეგობრებმა თავი არ დაზოგეს და შენი სიყვარულის დასამტკიცებლად „ახალი საცხოვრებელი“ გაგილამაზეს. ნათესავებმა 26 წლის წინ გარდაცვლილი მამა, როლანდ ხარჩილავა აფხაზეთის მიწიდან თბილისში გადმოასვენეს, რომ შენს გვერდით ყოფილიყო. და დღეს

მამუკა ხარჩილავა

ხარჩილავების საგვარეულო სასაფლაო შეიკრა, რისთვისაც მინდა მადლიერება გამოვხატო, მადლობა ვუთხრა ყველას.

მენატრები უზომოდ, უფალმა გაგვარიდა ცოდვითა და განსაცდელით სავსე მიწიერ ცხოვრებას. ყოველთვის ვილოცებ შენი ნათელი სულისთვის. ჩემმა დანთებულმა სანთელმა გაგინათოს სასუფევლის გზა, ნათელში იყოს შენი უბოროტო სული!

მხოლოდ მე სევდიანად ერთს წავიღიღინებ:

„მენატრება შენი ნახვა,
შენი გული მხიარული,
მომეწყინა ქვეყანაზე
შენს გარეშე სიარული.
ეს ცხოვრება გაგივლია,
გიშრომია, გიომია,
რა ძნელია შენი პოვნა,
დაკარგვა კი — იოლია.“

მშვიდობით არა, ნახვამდის, ჩემო მამუკა, ჩემო ბებე!

მეუღლე ნინო ბაბუნაშვილი

ექსპერტიზის დასკვნით, გოგა ძველაიამ ციხეში თავი ჩამოიხრჩო

სამხარაულის სახელობის ეროვნულმა ბიურომ გოგა ძველაიას საქმეზე უკვე დადო დასკვნა. ამის შესახებ ინფორმაციას „მოამბე“ ავრცელებს. საინფორმაციო გამოშვების ჟურნალისტის ინფორმაციით, დასკვნაში წერია, რომ „მექანიკური ასფიქსია განვითარებული კისრის ორგანოებზე მარყუჟის ზეწოლის შედეგად“ გახდა გარდაცვალების მიზეზი. აღნიშნული კი ნიშნავს იმას, რომ ქუთაისის №2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არასრულწლოვანმა თავი ჩამოიხრჩო.

სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ამ დასკვნის შემდეგ პროკურატურისთვის გოგა ძველაიას საქმეში მთავარ ვერსიად რჩება სწორედ თვითმკვლელობა და გამოძიება სწორედ ამ მიმართულებით მიმდინარეობს.

„სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, გოგა ძველაიას გარდაცვალების უშუალო მიზეზია მექანიკური ასფიქსია განვითარებული კისრის ორგანოებზე მარყუჟის ზეწოლის შედეგად. დამატებით მოწმდება ვიდეოფირის მონტაჟის საკითხი, მართლაც არის თუ არა იქ მონტაჟის კვალი. ამ ეტაპზე, რაც ჩვენ გაგვაჩნია იმ მასალების ერთობლივი ანალიზით, მიგვაჩნია, რომ საქმე ეხება მაინც თვითმკვლელობას,“ — აცხადებს პროკურორი **ლაშა ლაღიძე**.

შეგახსენებთ, რომ გოგა ძველაია ქუთაისის ციხეში 8 ოქტომბერს გარდაიცვალა და მიზეზი თვითმკვლელობა დასახელდა, თუმცა გარდაცვლილის ოჯახი აცხადებს, რომ პატიმარი თავის მოკლვას არ აპირებდა და ის ციხეში მოკლეს, ხოლო ვიდრე გამოძიების შედეგები არ იქნება ცნობილი, მანამდე ოჯახი მიცვალებულის დაკრძალვას არ აპირებს.

psnews.ge

უფასო განცხადებები

გაზეთი „P.S.“(„პოსტსკრიპტუმი“) გაცნობებთ

თქვენ შეგიძლიათ, ისარგებლოთ ჩვენი ახალი სერვისით - მცირე განცხადებების გამოქვეყნება უფასო განცხადების ტალონით!
ამ მომსახურების მისაღებად საკმარისია, გაზეთიდან ამოჭრათ სპეციალური ტალონი, დაწეროთ თქვენთვის სასურველი განცხადებისა თუ მილოცვის ტექსტი და მოგვაწოდოთ რედაქციაში (მისამართი: რუსთაველის 37 ა), ან დატოვოთ „პოპულში“ მდებარე წიგნების მაღაზია „ქიმერიონში“ ყოველი კვირის ხუთშაბათამდე (მისამართი: რუსთაველის 141).
ძვირფასო მკითხველო! შეგახსენებთ ასევე, რომ თქვენ შეგიძლიათ გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“ გამოიწეროთ და ბინაზე ან ოფისში მიიღოთ, ფასნამატის გარეშე, ან შეიძინოთ ქუთაისის ყველა საგაზეთო ჯიხურში და მარკეტში, მათ შორის „პოპულში“!
გაზეთის გამოწერისათვის დაგვიკავშირდით ტელეფონებზე: 24 45 46, 599 17 70 39.

იყიდება

- იყიდება 500 კვ.მ. 2-სართულიანი კაპიტალური სახლი, 10000 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, ხეხილით, ვენახით და სხვა.
მისამართი: თერჯოლის რაიონი, სოფელი ჭოგნარი, ქუთაისიდან 3 კილომეტრში.
ტელეფონი: 599 43 40 40

იყიდება სამოსახლო **მიწის ნაკვეთი** ქუთაისში, ტყიბულის ქ. №169. 550 კვ.მ. ფასი შეთანხმებით.
ტელ.: 598 577 129

- იყიდება 4-განყოფილებიანი რუსული მაცივარი ქუთაისში, რომელიც მუშაობს 0 გრადუს ტემპერატურაზე. ახალი გადაღებილი ნორმალურ მდგომარეობაში, დაზიანებული აქვს მხოლოდ მარჯვენა გვერდის მცირე ნაწილი კოროზიით. გასაყიდი ფასი 350 ლარი.
ტელეფონი: 558 76 93 46

- **სასწრაფოდ ვყიდი** 500-დან 1000 კმ-მდე მიწის ნაკვეთს სამოსახლოდ.
მისამართი: მახინჯაური, სათნოების ჩიხი 2, ბინა 9.
აღწერილობა:
მდებარეობს ზღვის სანაპიროდან 300 მეტრში, აქვს მისასვლელი გზა, სასმელი წყაროს წყალი, ზღვის ხედი.
ფასი: 500 კვმ — 25 000 აშშ დოლარი.
დამატებითი ინფორმაციისთვის დამიკავშირდით:
მობ.: 557 37 88 70

სასწრაფოდ იყიდება! 6000 კვ.მ. მიწის ნაკვთი ქუთაისის შესასვლელში. **ფასი:** 1კვ.მ – 2 ლარი
ტელ.: 431 25 53 12

უძრავი ქონება

- **გირავდება ან ქირავდება!** 26 კვ.მ. რუსთაველის 71-ში გირავდება ან ქირავდება.
ფასი: 10000 $
ტელ.: 577 92 19 02. **ნანა**

- **ქირავდება** ერთოთახიანი ბინა ქუთაისში ზვიად გამსახურდიას გამზირ №27/20 (სამტრედიის ხიდთან, ყოფილი გორის ქუჩა), VII სართული, ავეჯით, რემონტით, ტელეფონით, ლიფტით.
ტელ.: 26 44 08;
593 12 80 54 (ნანა)

გირავდება ორსართულიანი სახლის პირველი სართული (იზოლირებული), კეთილმოწყობილი, ყველანაირი კომფორტით. შესაძლებელია, გამოიყენოთ საოფისედ. ფართი მდებარეობს გზის პირზე.
მისამართი:
ქუთაისი, ნინოშვილის ქ. №183ა.
ტელეფონი:
27 32 27; 599 92 92 49 (გია).
ფასი 10 000$

- **ქირავდება!** 2-ოთახიანი. ქალაქური პრ. 3(9), 80 კვ.მ. გარემონტებული მ/წყალი, რკინის კარი, ავეჯით, ღია აივნებით.
მისასამართი: ქუთაისი, გუგუნავას ქუჩა №15, III კვ. I სად. (სასტუმრო „საქართველოს“ თავზე). **ფასი:** 350 ლარი
ტელ.: 595 58 40 64; 492 25 25 84. **ლიანა**

სხვადასხვა

- ვყიდი 100% ნატურალურ წაბლის თაფლს ქუთაისში, მაქვს ლაბორატორიული დამოწმებაც.
ტელეფონი: 598 11 30 70

- იყიდება 300 ცალი ცეცხლგამძლე აგური ქუთაისში. 1ცალი — 1 ლარი.
ტელეფონი: 599 07 40 47

მოვამზადებ

- მოვამზადებ სკოლამდელი და სკოლის ასაკის ბავშვებს ინგლისურ ენაში, ასევე უფროსი ასაკის ნებისმიერ მსურველს. აბიტურიენტებს — ინგლისური ენის ჩაბარების 100%-იანი გარანტიით.
ტელ.: 26 30 77
მისამართი: თაბუკაშვილის 28/4

- მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს მათემატიკაში, უნარებსა და ფიზიკაში.
ტელ.: 555 3182 69

- **ამერიკელი პედაგოგი შეასწავლის ინგლისურ ენას.**
CELTA -ს მიერ სერთიფიცირებული ამერიკელი პედაგოგი შეასწავლის ინგლისურ ენას მაღალ დონეზე. მეცადინეობები ჩატარდება 3-4 კაციან ჯგუფებში. მეცადინეობებს დაეთმობა ერთი საათი, კვირაში 4 დღე. ერთი თვე — 80 ლარი.
ტელ.: 557 26 08 43

მისამართი: ქუთაისი, ნიკეას ქუჩა №37. მესამე სადარბაზო, მესამე სართული.

ვაკანსია

გაზეთი „P.S.“ („პოსტსკრიპტუმი“) აცხადებს ვაკანსიას **სარეკლამო აგენტის** თანამდებობაზე, მაღალი პროცენტული ანაზღაურებით.
ტელ.: 24 45 46,
599 107794

ყურადღება!
ვაკანსია ქუთაისში!

ქალაქის ცენტრში იხსნება ახალი საინტერესო კაფე. გვესაჭიროება მიმტანები (3 ვაკანსია), ბარმენი (1 ვაკანსია) ახალგაზრდა, ენერგიული, სიმპატიური, ნიჭიერი და შრომისმოყვარე ხალხი. (უცხო ენის ცოდნა სავალდებულოა). ასევე ცვლის მენეჯერი (1 ვაკანსია) და მზარეული. დამირეკეთ 579 90 61 15. გისურვებთ წარმატებებს.

უფასო განცხადების ტალონი

(განცხადების ღირებულება შედის გაზეთის ფასში)

უფასო განცხადების ტალონი ამოჭერით ტალონი, ჩაწერეთ შიგ თქვენი განცხადების ტექსტი, არაუმეტეს 20 სიტყვისა, მოგვაწოდეთ რედაქციაში მისამართზე: ქუთაისი, რუსთაველის გამზირი 37ა. ან დატოვეთ წიგნების მაღაზია „ქიმერიონში“ მისამართზე: ქუთასი, რუსთაველის გამზირი №141 („პოპული“).

ყვირის ჰოროსკოპი

ვერძი: შეეცადეთ, არ ჩაერიოთ კამათში და არც თვითონ წამოიწყოთ იგი. შეძლებთ პარტნიორთან დაძაბული ურთიერთობების გარკვევას ან უფრო გამყარებას.

კურო: შესაძლებელია, ახალ სასიყვარულო, რომანტიულ ურთიერთობას ჩაეყაროს საფუძველი. შესაძლოა, ახალი, გავლენიანი მეგობრებიც კი შეიძინოთ. დაფიქრდით გარშემომყოფები რატომ არ ეთანხმებიან თქვენს მოსაზრებებს.

ტყუპები: სასურველია, დაისვენოთ, წახვიდეთ შვებულებაში ან გარემო შეიცვალოთ. არასასურველი პერიოდია პრობლემატური საკითხების გადასაწყვეტად, რადგან მიღებული გადაწყვეტილება შესაძლებელია, მცდარი აღმოჩნდეს.

კირჩხიბი: თქვენს ხელთაა ცვლილებების განხორციელება, სიტუაციის თქვენს სასიკეთოდ შემოტრიალება. არ ღირს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება.

ლომი: ცხოვრების ისეთი ჩქარი ტემპი, როგორიც არჩეული გაქვთ, შეიძლება საზიანო აღმოჩნდეს თქვენი ჯანმრთელობისათვის, რაც ნეგატიურად აისახება კარიერაზეც.

ქალწული: წინ ცვლილების პერიოდია. ეცადეთ, სიახლე შეიტანოთ სახლის ინტერიერში, საკუთარ იმიჯში. მაქსიმალურად ერიდეთ კონფლიქტებს.

სასწორი: თქვენი აქტიურობა პიკს მიაღწევს. წარმატება გელით საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ჰარმონიულად შეათავსეთ სამსახური და ოჯახი, რათა კონფლიქტები თავიდან აიცილოთ.

მორიელი: მეგობრებთან ერთად საქმიანი საუბრები გელით. ყველაზე რთული და, ერთი შეხედვით, გამოუვალი მდგომარეობიდანაც ადვილად იპოვით გამოსავალს.

მშვილდოსანი: უარს ნუ იტყვით მოგზაურობაზე. თამამად გაუზიარეთ თქვენი ახალი იდეები მეგობრებს და ხელმძღვანელებს. შესაძლოა, სამსახურში დაგაწინაურონ.

თხის რქა: შესაძლებელია, მოგიწიოთ ადრე მიღებული გადაწყვეტილებების გადახედვა. სიძნელეები ნუ დაგაფრთხობთ, იყავით უფრო გამბედავები. საქმიანობაში შეეცადეთ მეტი სიახლე შეიტანოთ.

მერწყული: სამსახურში უამრავ ახალ პერსპექტიულ წინადადებას შემოგთავაზებენ, კარგად დაფიქრდით, რჩევა თანამშრომლებსაც ჰკითხეთ და მხოლოდ მაშინ მოაწერეთ ხელი დოკუმენტებს.

თევზები: მაქსიმალურად მოერიდეთ პირად ურთიერთობებში დაუკვირვებელი ქმედებებს. საყვარელი ადამიანის მისამართით, თუნდაც ხუმრობით ნათქვამმა კრიტიკამ, შესაძლოა, თქვენი ურთიერთობა მოულოდნელად და ხანგრძლივი დროით დაძაბოს.

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. ანატოლი; 5. ქსელი; 6. იდა; 8. ურო; 9. კაკაო; 11. ამერიკა.
შვეულად: 1. მაზლი; 2. დონ; 3. ავსტრია; 4. ინდიანა; 7. მარიო; 10. შენ.

ქუთაისის ნიღბების თეატრს ახალი შენობა მომავალი წლის გაზაფხულიდან ექნება

ქუთაისის ნიღბების თეატრის შენობის რეაბილიტაცია ერთ-ერთია იმ პროექტთაგან, რომელსაც ქუთაისში რეგიონული განვითარების სამინისტროსგან გამოყოფილი 16 მილიონის ფარგლებში სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდება. თეატრის მშენებლობისთვის 600 000 ლარი გამოიყო.

ასეთი იქნება ნიღბების თეატრის განახლებული შენობა

„P.S.ფოტო“ ©

ნიღბების თეატრის შენობა ახლა ასე გამოიყურება

თეატრში სამუშაოები წელს უნდა დასრულებულიყო, თუმცა, მერიის შესყიდვების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ზურაბ გაბიძაშვილის ინფორმაციით, ჯერ სასურველი პროექტისთვის კონკურსის და შემდგე კი ტენდერის (18.09.2013) გვიან გამოცხადების გამო, ქუთაისს ახალი სრულად რეაბილიტირებული ნიღბების თეატრი 2014 წლის გაზაფხულზე ექნება.

საპროექტო კონკურსში ქუთაისელი არქიტექტორის, ზურაბ გუბელაძის პროექტმა გაიმარჯვა. სამუშაოების შესასრულებლად გამოცხადებულ ტენდერში კი თბილისურმა კომპანია „პარმაღმა“. როგორც მერიაში აცხადებენ, ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი, რის გამოც გამოცხადებულ ტენდერში „პარმაღმა“ გაიმარჯვა, შესასრულებელი სამუშაოებისთვის დაზოგილი 45 000 ლარია. შპს „პარმაღი“ შენობას 555.000 ლარად აშენებს. ნიღბების თეატრი ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 თვეში უნდა აშენდეს.

კომპანია „პარმაღის“ დირექტორის, თემურ შარიქაძის განცხადებით, კომპანიას ქუთაისში რამდენიმე ობიექტზე უკვე აქვს სამუშაო შესრულებული, მათ შორის — ტორპედოს სტადიონის ბაზაზე არსებული საცურაო აუზი, ავტოქარხანაში ყოფილი კულტურის სახლში სამაშველო სამსახურის შენობის რეკონსტრუქცია, ყინულის მოედნის გათბობა- კონდენცირების სამუშაოები, ასევე — წერეთლის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზის რეკონსტრუქცია...

***

ქუთაისის ნიღბების თეატრი 1995 წელს დაარსდა. თეატრის დირექტორი დავით ჯიშკარიანია.

ხარაზოვის ბაღში მდებარე ნიღბების თეატრს სარემონტო სამუშაოები დაარსებიდან დღემდე არ ჩატარებია. 18-წლიანი ისტორიის თეატრი არსებობისთვის იბრძვის, დანგრეულია კედლები, ჩამონგრეულია სახურავი, შიდა ინვენტარი კი საერთოდ განადგურებულია. როგორც თეატრის დირექტორი აცხადებდა, დროსთან ერთად, შენობის განადგურებას ხელი ადგილობრივმა მოსახლეობამაც შეუწყო, რადგანაც მათ შენობიდან საჭირო ნივთები გაიტანეს.

შენობის არარსებობის გამო, თეატრის დასი რეპეტიციებს სკოლებსა და ბაღებში ატარებს.

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ინიციატივით, რამდენიმე წლის წინ ხარაზოვის ბაღის ტერიტორიის რეაბილიტაცია მოხდა, შენობა კი კვლავ პირვანდელი სახით დგას.

ნესტან ჩაგელიშვილი



შეადგინა ალეკო ნემსაძემ

ვინ არის ფოტოზე?

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

კომედი-შოუს მსახიობი **მიშა ანდღულაძე** მხოლოდ ჩვენმა ერთგულმა მკითხველმა **სულიკო ფუტკარაძემ** ამოიცნო.

რას დაარქმევდით?

ბიგი უგულავა და მიხეილ სააკაშვილი

დაგვიკავშირდით:

- **(0 431) 24-45-46, 24-82-25.**
- **psnews27@gmail.com**

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

ვანო მერაბიშვილი

კოჰაბიტაციის მოტრფიალე ორი აგურის „პერედაჩის“ მოლოდინში

შაქრო გაბელაშვილი

კროსვორდი

ჰორიზონტალურად: 3. რელიგიის უარყოფა; 5. გაზაფხულის თვე; 6. ჯარი. ლაშქარი (მოძველ); 8. ქართული „თ“ ასოს სახელი; 9. „ვირა“, ასწრე. „...“ დაუშვი; 11. ჯორჯიის შტატის დედაქალაქი.

ვერტიკალურად: 1. მადლობა ფრანგულად; 2. ჩვენი ვარსკვლავი; 3. დიდი საბინაო ვარცლი; 4. „ამომავალი მზის“ ქვეყანა; 7. მდინარე გერმანიაში; 10. მოწონების შეძახილი კორიდაზე.